საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11615/01
09/11/2021

11615-01-2-202111091235

შპს ,,ჯეო ენტერპრაიზს“

მის: ქ. თბილისი, მარიჯანის ქ., N4, ბინა №2

სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 ოქტომბრის განცხადება (წერილი N19227), რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- როგორც სამინისტროს 2021 წლის 13 ოქტომბრის N 10694/01 წერილით შპს ,,ჯეო ენტერპრაიზს“ ეცნობა: ,,სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საპროექტო ტერიტორიის ადგილზე ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ საწარმოს მოწყობისთვის უკვე შესრულებულია გარკვეული ტიპის სამუშაოები, მათ შორის ჯართის მიმღებ უბანზე მოწყობილია ხიდური ამწე; არსებულ შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ჯართის სადნობი ღუმელები (ორი ერთეული); შენობის ერთ-ერთ ფლიგელში განთავსებულია მაღალი ძაბვის უჯრედი და ტრანსფორმატორები; საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის გაგრილების სისტემისთვის შენობის ჩრდილოეთ მხარეს მოწყობილია წყლის ავზი. ვინაიდან, კომპანიის მიერ თითქმის დასრულებულია საწარმოს მოწყობითი სამუშაოების ნაწილი, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი, შესაძლო ზემოქმედების სახეები''. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, შპს ,,ჯეო ენტერპრაიზმა“ 2021 წლის 27 ოქტომბრს წარმოდგინა გზშ-ის ანგარიში და შესაბამისი დანართი (N 10694/01 წერილში მითითებულ საკითხებზე რეაგირების ცხრილი), სადაც არ იქნა გათვალისწინებული სამინისტროს მიერ განსაზღვრული შენიშვნა, საწარმოს არსებული/ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის შესახებ. კერძოდ, შპს ,,ჯეო ენტერპრაიზის“ წერილში აღნიშნულია, რომ საწარმოს მოწყობის და დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები არ დაუწყია. დანადგარები დაწყობილია მათ დასამონტაჟებლად გათვალისწინებული ადგილების ახლოს.
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის განხორციელების ფაქტის გამოვლენის მიზნით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მიმდინარე წლის 3 ნოემბერს შპს ,,ჯეო ენტერპრაიზის" (ს/ნ 404901077) კუთვნილი მეტალურგიული საწარმოს დათვალიერება/შესწავლის შედეგად გაირკვა შემდეგი: ტექნოლოგიურ

ციკლში ჩასართავი ზოგიერთი მოწყობილობა-აგრეგატი ფაქტობრივი მდგომარეობით უკვე დამონტაჟებულია, კერძოდ, ჯართის მიმღებ უბანზე მოწყობილია ხიდური ამწე, არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია ჯართის სადნობი ორი ერთეული ღუმელი, შენობაში განთავსებულია მაღალი ძაბვის უჯრედი და ტრანსფორმატორი, ასევე ღუმელების გაგრილების სისტემისთვის მოწყობილია წყლის ავზი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარე წლის 3 ნოემბერს შპს ,,ჯეო ენტერპრაიზის" მიმართ შედგა ადმინისტაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №064322, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით.

მოცემული გარემოების გათვალისწინებით დამატებით გაცნობებთ, რომ სამინისტროში წარმოსადგენ დოკუმენტაციაში მოცემული უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია საწარმოში არსებული მდგომარეობის და განხორციელებული/განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. გზშ-ის ანგარიში სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საწარმოში არსებულ სიტუაციასთან.

სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით გადამუშავებული გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე